საქართველოს პარლამენტის

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის

2013-2014 წლების საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

1. კომიტეტის ამოცანები 3

2. კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები 4

3. კომიტეტის საქმიანობა 5

3.1. კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა 5

3.2. კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა 11

3.3. სპორტულ ფედერაციებთან, კლუბებთან, საგანმათლებლო დაწესებულებებთან და სპორტულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 11

3.4. ქვეყანაში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში არსებული მდგომარეობა 19

- ნეგატიური ფონი 19
- პოზიტიური ფონი 20

3.5. საზოგადოებასთან ურთიერთობა 21

- კომიტეტში შემოსული წერილები 21
- მოქალაქეთა მიღება 21
- მნიშვნელოვანი შეხვედრები 21

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადება, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი.

1. კომიტეტის ამოცანები

1. ახალგაზრდობის სტიმულირება სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის; სპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებისა და განხორციელებისათვის მონიტორინგის გაწევა; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა;
2. უწყვეტი სასპორტო განათლების სისტემის შექმნა, ქვეყანაში ეფექტური და ხელმისაწვდომი სპორტულ-გამაჯანსაღებელი სექტორებისა და კლუბების ჩამოყალიბება და პროფესიული კადრებით უზრუნველყოფა, ვეტერან მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, ბავშვთა, სტუდენტური, პროფესიული, სამოყვარულო სპორტის და მოსახლეობისათვის მასობრივი სპორტის განვითარება, ასევე პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი და სამედიცინო-სამკურნალო რეაბილიტაციის საკითხების მოგვარება.
3. საქართველოს კანონებისა და პარლამენტის სხვა გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.
4. საქართველოს პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად;
5. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში მიმდინარე რეფორმის, რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესში მონაწილეობა;

6. ახალგაზრდული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის, სახელმწიფოებრივი ხელშეწყობისა და მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხების, საქართველოს სახელმწიფო და არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტული ასოციაციების, კავშირების, ფედერაციების საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია; პატრიოტულ-აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელება.

7. სპორტის განვითარების, პატრიოტულ-აღმზრდელობითი საქმიანობის, ქართულ არმიაში სამსახურისთვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად ძირითადი მიმართულებების, ახალგაზრდობის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება, ასევე სათანადო პირობების შექმნა სპორტული ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვისათვის;

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშემწყობი პირობების შექმნაზე კონტროლის დაწესება, სპორტსმენთა პროფესიული ეთიკის ნორმების შექმნა და მათი დაცვა, ახალგაზრდების ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა;

2. კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები

1. საკანონმდებლო ბაზის განახლება მისი სრულყოფის მიზნით;
2. უწყვეტი სასპორტო განათლების სისტემის შექმნა და შესაბამისად სასპორტო განათლების სისტემის აღდგენა-რეფორმირება;
3. ვარჯიშისა და გაჯანსაღებისათვის ხელმისაწვდომი პირობების შექმნა ბავშვებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის;
4. სპორტის სფეროში სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავების საკითხების კოორდინაცია;
5. ინფრასტრუქტურის განვითარება;
6. საკურატორო დარგების სამომავლო დაფინანსების საკითხები ეტაპებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით;
7. განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების, ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
8. ახალგაზრდული ორგანიზაციების, სპორტული ასოციაციების, კავშირების, ფედერაციებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის და

პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომიტეტის სხდომებზე განხილვა;

9. „სპორტი ყველასათვის", და „უმაღლესი მიღწევების სპორტი"-ს მიმართულებები და პროფესიული სპორტის დარგების განვითარება;
10. სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;
11. კომპეტენციის ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდობის სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმნათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით, ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავების კოორდინაცია;
12. ანტინარკოტიკული პოლიტიკა; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა; მოსწავლე ახალგაზრდობის ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის და ჰარმონიულად განვითარების პოლიტიკის განხორციელება.
13. სუსტი ჯანმრთელობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების კოორდინაცია;
14. სპორტის ვეტერანთა სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა;

3. კომიტეტის საქმიანობა

3.1 კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა საანგარიშო წლის პერიოდში ჩაატარა 20 სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი კანონპროექტები:

კანონპროექტები, რომლებზეც კომიტეტის დასკვნა იყო სავალდებულო:

-საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის პროექტის განხილვა.

კანონპროექტის არსი:

სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და სპორტის დარგში რეფორმების გატარება, მათ შორის ,,სპორტის შესახებ" ახალი კანონის მომზადება, მოსახლეობის ყველა ფენისათვის სპორტში ჩასაბმელად ხელმისაწვდომი პირობების შექმნა, სპორტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, უმაღლესი აკადემიური და საშუალო სპორტული განათლების, ასევე სპორტული მეცნიერებისა და მედიცინის განვითარება და სპორტში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. პრიორიტეტის ფარგლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული სპორტის განვითარება, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის სხვადასხვა სოციალური გარანტიების შეთავაზება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებია: სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები; სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა; ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები.

საკომიტეტო მოსმენაზე მოწვეული იყო 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ალექსი ახვლედიანი, რომელმაც განაცხადა, რომ 2015 წელს საქართველო მასპინძლობს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს და საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა ღონისძიების ჩასატარებლად, ამისათვის 2015 წლის მაისის თვეში სპორტის 9 სახეობაში უნდა დასრულდეს ინფრასტრუქტურის სერთიფიცირება. უნდა აშენდეს ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზი და სპორტული ობიექტები. იმის გამო, რომ თბილისის მერიას ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუმცირდა არ გაგვაჩნია საკმარისი თანხები ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

კომიტეტის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით წარმოდგენილ ასიგნებებს დაემატოს სამინისტროს მიერ საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი 8,5 მლნ. ლარი და სამინისტროს ასიგნებები განისაზღვროს 58,5 მლნ. ლარით. ასევე, დამატებით გამოყოფილი იქნას 15,0 მლნ. ლარი, 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის ჩასატარებლად, რათა აშენდეს ახალი სპორტული ობიექტები და შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა. მთლიანობაში სპორტის სფეროზე გამოყოფილი ასიგნებები გაიზარდოს 23,5 მლნ. ლარით.

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის", კონვენციის ფაკულტატური ოქმის, თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით, ,,სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ და ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტების (07-1/87,04.11.13) განხილვა

კანონპროექტის არსი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 30-ე მუხლი ეხება კულტურულ ცხოვრებაში, გამაჯანსაღებელ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამაჯანსაღებელ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის მიზნით, სხვებთან თანაბარ პირობებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შემდეგი ზომები:

ა) მაქსიმალურად წაახალისონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობას ნებისმიერი სახის სპორტულ ღონისძიებებში;

ბ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ, ორგანიზება გაუკეთონ, განავითარონ და მონაწილეობა მიიღონ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში; ამ მიზნით და სხვებთან თანაბარ პირობებში, ხელი შეუწყონ ამ პირთა სათანადო ინსტრუქციებით, მომზადებითა და რესურსებით უზრუნველყოფას;

გ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ სპორტულ, გამაჯანსაღებელ და ტურისტულ ადგილებზე;

დ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, სხვა ბავშვების მსგავსად, მონაწილეობდნენ სათამაშო, გამაჯანსაღებელ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში, მათ შორის სასკოლო სისტემის ფარგლებში;

ე) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ ისეთ მომსახურებაზე, რომლითაც ხდება გამაჯანსაღებელი, ტურისტული, გასართობი და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. სპორტისა და კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებას და მიზანშეწონილად მიიჩნია კანონის პროექტების განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

-საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტები: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტების განხილვა.

კანონპროექტის არსი:

თვითმმართველობის კოდექსი შედგება რვა კარისგან. ცალკე კარი ეთმობა ადგილობრივ თვითმმართველობას, ცალკე კარი მუნიციპალიტეტის ორგანოებს და ა.შ. კოდექსის თანახმად, არჩევით საკრებულოსთან ერთად, მუნიციპალიტეტს ეყოლება არჩევითი გამგებელი, თვითმმართველ ქალაქს კი მერი. პროექტში გაწერილია ასევე არჩევითი გამგებელისთვის (თვითმმართველ ქალაქში კი მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი. კოდექსით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან, ქონებასთან, ქონების პრივატიზებასთან და სარგებლობის უფლების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანონპროექტებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

-საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი ,,საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის" დამტკიცების შესახებ"

დოკუმენტის არსი:

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობისათვის აუცილებელია გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლერება, გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შექმნა. კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი გოზალიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის ,,რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" განხილვა (07-3/305, 06.02.2014).

კანონპროექტის არსი:

,,რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონით აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში, აგრეთვე მათგან 100 მეტრის რადიუსში. აღნიშნული აკრძალვის დაწესების მიზანს კი წარმოადგენს არასრულწლოვანთა დაცვა ამ სახის პროდუქციის მავნე ზეგავლენისაგან. ხოლო, რაც შეეხება ზემოაღნიშნულ რადიუსს, ასეთი პროდუქციის რეკლამირების აკრძალვა სხვა სახის დაწესებულებაში არ წარმოადგენს საფრთხეს არასრულწლოვანთათვის. ასეთ შემთხვევაში, რეკლამა იმდაგვარადაა გავრცელებული, რომ იგი არაა თვალსაჩინო არასრულწლოვანებისათვის. შესაბამისად, 100 მეტრის რადიუსში დაწესებული ამდაგვარი შეზღუდვა სცილდება კანონის მიზნებს.

კანონპროექტის მიღების მიზანია დაცული და გარანტირებული იქნას კანონმდებლობის მიზნები. ასევე, ქვეყანაში ბიზნეს გარემოს ხელშეწყობა, რომ არ შეიზღუდონ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების რეკლამირებას განახორციელებენ იმდაგვარად, რომ არ მოვლენ წინააღმდეგობაში აღნიშნული კანონმდებლობის მიზნებთან.

კანონპროექტის მიღებით დასაშვები ხდება ასეთი ტიპის პროდუქციის რეკლამირება საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებების, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებიდან 100 მეტრის რადიუსში განთავსებულ სხვა დაწესებულებებში, სადაც რეკლამის გავრცელება გარედან თვალსაჩინო არ არის. აღნიშნული ცვლილებები შედის ,,რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტში.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანონპროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

-საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი 2009 წლის 12 მარტს ხელმოწერილი ,,სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" კონვენციის განხილვა (07-1/95,17.02.14)

დოკუმენტის არსი:

კონვენციის რატიფიცირება აუცილებელია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის. მისი მიზანია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ასეთი ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვისა და დახმარებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი კონვენციის რატიფიცირებას და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

-საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი 2013 წლის 6 ნოემბერს ხელმოწერილი ,,საქართველოს მთავრობასა და შვედეთის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" კონვენციის განხილვა (07-1/97, 26.02.14)

დოკუმენტის არსი:

კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემოსავალი, რომელსაც იღებს, როგორც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შესაძლოა დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

ამავე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან ერიცხება არა თვით სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს იმ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება სპორტსმენის საქმიანობა.

მესამე პუნქტის თანახმად, თუ ამ სახელმწიფოში ვიზიტის დაფინანსება ხორციელდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საჯარო ფონდებიდან, შემოსავალი იბეგრება მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს სპორტსმენი.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კონვენციის რატიფიცირებას და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

- საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი, 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ,,ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის განვითარებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" განხილვა.

ხელშეკრულების არსი:

შეთანხმების მე-16 მუხლის მიხედვით, მხარეები ითანამშრომლებენ განათლებისა და ტრეინინგის სფეროში, რათა გააქტიურონ თანამშრომლობა და დიალოგი, მათ შორის, დიალოგი პოლიტიკურ საკითხებზე, რომელიც მიზნად ისახავს

ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიახლოვებას. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სწავლას მთელი ცხოვრების მანძილზე, წაახალისონ განათლებისა და ტრეინინგის სფეროში თანამშრომლობა და გამჭვირვალობა ყველა დონეზე, უმაღლეს განათლებაზე განსაკუთრებული აქცენტით.

მხარეები თანხმდებიან ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობაზე, რათა: ხელი შეუწყონ თანამშრომლობასა და გაცვლებს ახალგაზრდობის პოლიტიკის, ასევე ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთა არაფორმალური განათლების სფეროში; ხელი შეუწყონ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულების მობილურობის გაზრდას, რაც წარმოადგენს კულტურათაშორისი დიალოგის, ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მიღების ხელშეწყობის მექანიზმს, მათ შორის მოხალისეობის გზით; ხელი შეუწყონ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას.

შეთანხმების მე-19 თავის თანახმად,მხარეები ითანამშრომლებენ სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით, რათა ხელი შეუწყონ ჯანსაღი ცხოვრების წესს და სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვითარებას, სპორტის მობილურობას, სპორტის წინაშე მდგარი ისეთი გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, როგორებიცაა დოპინგის გამოყენება, რასიზმი და ძალადობა.

კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი ხელშეკრულების რატიფიცირებას და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის" და ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვა

დოკუმენტის არსი:

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 67956.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 66 092.9 ათასი ლარი, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6333.6 ათასი ლარით ნაკლებია. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში ,,ხარჯების" მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 81.7 %, ,,არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლით - 0.9%, ხოლო ,,ფინანსური აქტივების ზრდის" მუხლით -17,4%.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

3.2. *კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა*

კომიტეტმა, მისი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, მათ შორის საზედამხედველო საქმიანობის კუთხით, საანგარიშო პერიოდში ჩაატარა არაერთი მნიშვნელოვანი სხდომა და შეხვედრა.

3.3. *სპორტულ ფედერაციებთან, კლუბებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სპორტულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა*

კომიტეტი ეტაპობრივად ისმენდა საკომიტეტო სხდომებზე სპორტულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეროვნულ სპორტულ ფედერაციებში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში და სხვა სპორტულ და ახალგაზრდულ გაერთიანებებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და მათ სამომავლო გეგმებს მათთვის არსებული პრობლემების გადაწყვეტაში დახმარების და მუშაობაში ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია

ზურაბ კიკნაძის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შემუშავებული აქვს საქართველოში ხელბურთის განვითარების პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ფედერაციის საქმიანობის სამომავლო სტრატეგიასა და მიზნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხელბურთი სპორტის ოლიმპიურ სახეობათა შორის პოპულარობით სარგებლობს, არსებობს რიგი უარყოფითი მხარეები, რომლებიც აფერხებს ხელბურთის განვითარებას. კერძოდ, კლუბებისა და ბავშვთა სახელბურთო სკოლების მწირი ფინანსური შესაძლებლობები, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზების არარსებობა, სპორტული ბაზების ნაკლებობა, მწვრთნელების არადამაკმაყოფილებელი კვალიფიკაცია, კვალიფიციური მენეჯერების სიმცირე, სუსტი მუშაობა მასმედიასთან, ინვესტიციების (სპონსორების) ნაკლებობა და სხვა.

ქართული ხელბურთის პოპულარიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია თბილისში 2015 წელს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობა. ამასთან, ამა წლის 27 ოქტომბერს კონგრესი იხილავს საკითხს, 2017 წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში გამართვის თაობაზე. საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნაა სათანადო სპორტული დარბაზების არსებობა, თუმცა საერთაშორისო სტანდარტებს მხოლოდ თბილისის სპორტის სასახლე აკმაყოფილებს. ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრი გასხვისებულია 20 000 ლარად და ინვესტორის მიერ არ სრულდება სახელშეკრულებო პირობები. აღნიშნული სპორტული ობიექტი

ხელბურთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და იგი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს და ჩადგეს ხელბურთის სამსახურში. ამასთან მნიშვნელოვანია, შეიქმნას სპორტული ბაზების რეესტრი და სპორტული ობიექტები იყოს სახელმწიფო საკუთრებაში, რათა გადავარჩინოთ სპორტული ინფრასტრუქტურა.
კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაეგზავნოს რეკომენდაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რათა შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს ფედერაციას.

საქართველოს კანოეს ეროვნული ფედერაცია

დავით ქაცარავას (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, სპორტის აღნიშნული სახეობა ვითარდებოდა საქართველოს არაერთ ქალაქში და არსებობდა სათანადო სპორტული ბაზები შესაბამისი ინვენტარით. თბილისის მასშტაბით ფუნქციონირებდა ნიჩბოსნობის 5 ბაზა: სანაპიროზე დღეს მოქმედი იუსტიციის სახლის ადგილას, 1966 წ. ფუნქციონირებდა ნიჩბოსნობის კომპლექსური ბაზა, რომელიც მოგვიანებით ქალაქის მერიის ბალანსიდან გადაეცა აფხაზეთის ლტოლვილთა სამინისტროს და მალევე გასხვისდა კერძო პირზე, იმ პირობით, რომ შენობის ფუნქცია არ შეიცვლებოდა. 2011 წელს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით არსებული ტერიტორია, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით გადაიცვალა საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. კერძო პირებზე გასხვისდა თბილისის ზღვაზე არსებული ნიჩბოსნობის 2 ბაზა და ხანძრის შედეგად განადგურდა ბაზა ლისის ტბაზე.
რაც შეეხება ბაზალეთის ტბაზე არსებულ სპორტულ ბაზას, იგი გადაეცა დუშეთის მუნიციპალიტეტს, რომელსაც სარემონტო სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა, თუმცა აღნიშნულ ბაზაზე დაფუძნდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, სადაც ნიჩბოსნობა საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული. ასევე გასხვისებულია ქ. ფოთში არსებული ყველა ბაზა და რეაბილიტაციას საჭიროებს ქ. რუსთავსა და სიონის წყალსაცავთან არსებული ნიჩბოსნობის ბაზები.
კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაეგზავნოს რეკომენდაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რათა შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს ფედერაციას.

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი დინამო

ნიკოლოზ ივანიშვილის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება ,,დინამო" შეიქმნა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფის მიზნით. სპორტსაზოგადოება ,,დინამო"-ს ხელმძღვანელობა მაქსიმალურ დახმარებას უწევდა სახელმწიფოს, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობის ფიზიკური და სპეციალური მომზადების საქმეში. საზოგადოება, ასევე ცდილობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებას, ახალი სპორტული ნაგებობების, საწარმოების, საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლების, სამედიცინო და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნას. ანალოგიური ფიზკულტურულ-სპორტული საბჭოები ფუნქციონირებდა აფხაზეთისა და აჭარის

ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ქუთაისში, რუსთავსა და ზუგდიდში.
1992 წლის 19 ნოემბერს საზოგადოება რეორგანიზებული იქნა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბად, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სტრუქტურულად შედიოდა შ.ს.ს-ში, რომელიც მთლიანად აფინანსებდა აღნიშნულ ორგანიზაციას, მაგრამ 2004 წელს კლუბი ,,დინამო" გამოყვანილი იქნა შ.ს.ს სისტემიდან და შეუწყდა ყოველგვარი ფინანსური უზრუნველყოფა.
კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაეგზავნოს რეკომენდაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა არსებული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შორის შედგეს შეხვედრა შესაბამისი წარმომადგელობით, ვინაიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქვეყანაში, როგორც სპორტის განვითარებას, ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და შინაგანი ჯარების პირადი შემადგელობის ფიზიკური და სპეციალური მომზადების პროცესს.

საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

გელა ბერუაშვილის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, საქართველოში არ არსებობს ქართული ჭიდაობის არცერთი სპეციალიზირებული სპორტული დარბაზი, სადაც წარიმართება სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. ქართულ ჭიდაობაში მომეცადინე სპორტსმენები შეკედლებულნი არიან სხვა ჭიდაობებისათვის განკუთვნილ დარბაზებში. აგრეთვე გასაკვირია ის ფაქტი, რომ ქართულ ჭიდაობაში არ არსებობს სახელმძღვანელო, რითაც ისარგებლებდნენ მწვრთნელები. ქართული ჭიდაობის კადრების მომზადების საკითხებზე ძალზედ უარყოფითად იმოქმედა 2007 წელს სპორტის აკადემიის გაუქმებამ, რადგან პრაქტიკულად მთელ ქვეყანაში შეწყდა არამარტო მომავალი კადრების მომზადების საკითხი, არამედ არსებული კადრების მომზადება-გადამზადების საკითხებიც რეალურად შეჩერდა. უკანასკნელ ხანს გაიზარდა ქართული ჭიდაობის პოპულარობა, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში, გაფართოვდა ქართული ჭიდაობის ინფრასტრუქტურა, 2013 წელს აშენდა 17 ახალი დახურული ტიპის საჭიდაო არენა. დაწყებულია სამუშაოები ქართული ჭიდაობის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად. სპეციალური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოში არსებული სპორტის სახეობების პოპულარობის მიხედვით ქართული ჭიდაობა შევიდა ხუთეულში.
ქართული ჭიდაობა, როგორც ყველა ჭიდაობის სახეობის განვითარების ძირითადი ბაზისი, ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და არსებული პრობლემების დროულ გადაწყვეტას.
კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაეგზავნოს რეკომენდაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რათა არსებული პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს ფედერაციას.

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია

რამაზ გურგენიძის (ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი) ინფორმაციით, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით, არა მარტო ნაკრებისათვის, არამედ იმ რეგიონებისთვისაც, სადაც ძალოსნობა არსებობს და ნაკრებს სისტემატიურად აძლევს შევსებას. დღეისათვის დედაქალაქში მხოლოდ ორი დარბაზი ფუნქციონირებს. გლდანის ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრი და ვაკის დარბაზი. რაც შეეხება ვაკის მშენებარე ძალოსნობის დარბაზს, რომელიც გიორგი ასანიძემ საჩუქრად გადასცა ფედერაციას, დღეს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და მისი ბედი გაურკვეველია.

დღემდე ვერ მოხერხდა სპორტის სფეროში სრულყოფილი კანონის მიღება. ძველი კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წელს არის მიღებული, არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. საჭიროა ახალ კანონში გათვალისწინებული იქნას სპორტის დაფინანსების და ფინანსების მოზიდვის მასტიმულირებელი ასპექტები. ,,სპორტის შესახებ" კანონის დროულად მიღება და ამოქმედება სპორტის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

2013 წელი ქართველი ძალოსნებისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან 4 სპორტსმენი აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილეს, რის გამოც საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 100000 ა.შ.შ. ამერიკული დოლარით დააჯარიმა. ჯარიმის გადახდის ვადა მ/წლის 25 ივნისს იწურება. არ გადახდის შემთხვევაში ნაკრები ლიცენზიებისათვის მხოფლიო ჩემპიონატში ვერ მიიღებს მონაწილეობას და საფრთხის ქვეშ დადგება 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარება. საქართველოს ნაკრები ვერც თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ფედერაციას არ გააჩნია სათანადო სახსრები დაკისრებული ჯარიმის გადასახდელად. ფედერაციამ ითხოვა დახმარება, დაკისრებული ჯარიმის დასაფარად შუამდგომლობა გაგვეწია საქართველოს მთავრობის წინაშე.

კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაიგზავნოს მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე, ძალოსნობის ფედერაციის წინაშე არსებული პრობლემის მოგვარების თხოვნით.

საკითხი გადაწყდა დადებითად.

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია

დავით კვაჭაძის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, ქართული კრივის, როგორც დარგის განვითარებისათვის საჭიროა აქტიური მეცნიერული და საწვრთნელი პროცესების განხორციელება, ყოველივე ამისთვის კი აუცილებელია კრივის ეროვნულ ფედერაციასთან შეიქმნას ცენტრი, რომელიც დაკომპლექტდება გამოცდილი სპეციალისტებით. ცენტრის უშუალო ამოცანა იქნება ქვეყანაში მომუშავე მწვრთნელებისა და მსაჯების კოორდინირება (სემინარების ჩატარება, ადგილზე ჩასვლა, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება და სხვა).

დღეის მდგომარეობით, საქართველოს კრივის ეროვნულ ფედერაციას არ გააჩნია ნაკრები გუნდების და ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა, რაც ბევრ სირთულეს უქმნის ფედერაციას ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი პროცესის სწორად წარმართვაში. წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ აშენებული ბაზები ან გაყიდულია, ან გასხვისებული გაურკვეველი პირობებით.

ზოგიერთ მათგანში კი, თუ ისევ არსებობს ვარჯიშის პირობები, იჯარის გადასახადი თითქმის ფედერაციის მთლიანი ბიუჯეტის ტოლფასია. მოკრივეთა ძირითადი ბაზა უკვე მეოთხე წელია სიმბოლურ ფასად გადაცემული აქვს ინვესტორს, რომელიც ამ ბაზაზე სპორტის განვითარებისათვის არაფერს აკეთებს და პრივატიზაციის ვალდებულებების ვადის გასვლის მოლოდინშია, რათა მოახდინოს არაადექვატურ ფასად შეძენილი ქონების შემდგომი გასხვისება. საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან უფრო აქტიური და ეფექტური მხარდაჭერა კრივის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

კრივის ეროვნული ფედერაციის პროგრამის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

- საქართველოში ოლიმპიური სახეობის კრივის შემდგომი პოპულარიზაცია;
- ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდების მზადების პროცესის ხარისხის დონის გაუმჯობესებით ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო გუნდებს შორის ადგილის დამკვიდრება;
- საქართველოში საკლუბო კრივის განვითარების პროგრამის შემუშავება და განხორციელება;
- ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ფედერაცია

ვალერი გულბანის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, ფედერაცია მოიცავს შემდეგ სპორტულ სახეობებს: ძლიერი მამაკაცი (ექსტრემალური ძალოსნობა), მთიელთა თამაშები, გირის სპორტი, მას-რესლინგი.

ამჟამად ფედერაციის ძირითადი ბაზა და ოფისი განთავსებულია ქ. ქუთაისის მე-10 კომპლექსურ სპორტულ სკოლასთან. აღნიშნული ბაზის, გარდა ფედერაციის წევრებს აქვთ საშუალება ივარჯიშონ გორის, თბილისის, რუსთავის და თელავის კლუბებში, რომლებიც წარმოადგენენ ფედერაციის სტრუქტურულ ერთეულებს და ემსახურებიან ჩამოთვლილი სპორტის სახეობების განვითარებას და პოპულარიზებას საქართველოს რეგიონებში. მათ უზრუნველყოფას საჭირო ინვენტარით, ინსტრუქტორებით, აქსესუარებით და სხვადასხვა საჭირო ინფორმაციით ნაწილობრივ ახორციელებს „საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა და მთიელთა თამაშების ეროვნული ფედერაცია".

ამჟამად ფედერაციაში გაწევრიანებულია 50-მდე აქტიური სპორტსმენი, რომლებიც ყოველწლიურად ღებულობენ მონაწილეობას ოფიციალურ ჩემპიონატებში, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სპორტის ეს სახეობა ითვლება უნიკალურ კულტურულ მონაპოვრად და სარგებლობს სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური და საინფორმაციო მხარდაჭერით. მას-რესლინგი, ისევე როგორც გირის სპორტი ადამიანის სხეულს კომპლექსურად ანვითარებს, ხოლო ჭიდაობისა და მსგავსი სახის ორთაბრძოლოლური ტიპის სპორტის სახეობებისაგან განსხვავებით, მინიმალური ტრამვატულობით ხასიათდება. შეჯიბრების და ვარჯიშების ჩატარება არ საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს და ინფრასტრუქტურას, რაც ამ სპორტს კიდევ უფრო საინტერესოს და მასებისათვის მიმზიდველს ხდის.

კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაეგზავნოს რეკომენდაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რათა არსებული პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს ფედერაციას.

საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია

ალექსანდრე მეტრეველის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, საქართველოში ჩოგბურთის განვითარების პროგრამის ამოცანებია: სპორტის ამ სახეობის შემდგომი პოპულარიზაცია; შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ქვეყნის მთელი მასშტაბით საჩოგბურთო სისტემის, როგორც სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილის, ეფექტური ფუნქციონირება; მოსახლეობის ფართო ფენებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; მაღალი მიღწევების სპორტში წარმატებების მიღწევით ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, გაფართოვდება ჩოგბურთის გეოგრაფია და საჩოგბურთო კორტების რაოდენობა გაიზრდება 500-მდე, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფორმით ჩოგბურთში ჩართული იქნება მოსახლეობის 5 %-მდე (დღეს მხოლოდ 0,025 %), ქვეყნის 200-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოეწყობა ჩოგბურთის კორტები. სკოლებში ჩოგბურთის სექციებში მოვარჯიშეთა რაოდენობა მიაღწევს 10 ათასს, ქვეყნის არანაკლებ 8 უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნება სტუდენტური საჩოგბურთო კლუბები, რეგულარულად ჩატარდება პირველობა სტუდენტთა და სტუდენტურ საჩოგბურთო კლუბებს შორის; მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, შეიქმნება და 2015 წლიდან ფუნქციონირებას დაიწყებს ჩოგბურთის სწავლების ეროვნული ცენტრი, რომლის ფილიალები გაიხსნება ქუთაისში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდში; ქვეყანაში საჩოგბურთო კლუბების რაოდენობა გაიზრდება 16-დან 25-მდე, საჩოგბურთო ინფრასტრუქტურა შეიქმნება ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მესამედში მაინც; საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის სტრუქტურაში შეიქმნება მიმართულება, ქვიშის ჩოგბურთის განვითარებისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ზოლზე, აგრეთვე თბილისში (კუსა და ლისის ტბის მიდამოები, თბილისის ზღვა) მოეწყობა ინფრასტრუქტურა და ჩამოყალიბდება მეცადინეობებისა და შეჯიბრების სისტემა; ქვეყნის ყველა საკურორტო ზონაში მოეწყობა ჩოგბურთის კორტები, რომლებიც უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ინვენტარითა და კადრებით; მოხდება შეჯიბრებათა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ერთიანი კალენდარული გეგმის ფორმირება; 2015 წლიდან 50 ათას ლარამდე გაიზრდება საქართველოს ჩემპიონატების საპრიზო ფონდი; 10, 12, 14 და 16 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების 3-3 გოგონასა და ვაჟს დაენიშნება სპეციალური სტიპენდიები, უფასოდ გამოეყოფათ სავარჯიშო ადგილი, მომარაგდებიან ინვენტარით; ასაკობრივი ჯგუფებიდან თითო საუკეთესო 3-დან 6 თვემდე სტაჟირებას გაივლიან ევროპის საჩოგბურთო ცენტრებში; უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, ყოველწლიურად ჩატარდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების სემინარები; სერთიფიცირებული მწვრთნელებიდან სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილებით (უცხოელი ექსპერტების დახმარებით) მოხდება მწვრთნელთა კატეგორიების (A, B, C) მინიჭება; უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელებისათვის გამოიყოფა ფედერაციის

ყოველწლიური გრანტები; ყოველწლიურად ფედერაციის გამგეობისა და მწვრთნელთა საბჭოს რეკომენდაციით 1 მწვრთნელი გაივლის გრძელვადიან სტაჟირებას უცხოურ საჩოგბურთო ცენტრებში;
2015-2016 წლებისათვის თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ქალთა და ვაჟთა შორის ჩატარდება არანაკლებ 6 პროფესიული ტურნირი მაინც, ქართველ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდის უზრუნველსაყოფად და ATP-ისა და WTA-ს სარეიტინგო ქულების მოსაპოვებლად; ჩატარდება კონკრეტული სამუშაოები კვალიფიცირებულ მსაჯთა კორპუსის ჩამოსაყალიბებლად; ყოველწლიურად უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდება სემინარები; ორგანიზაცია გაუკეთდება კურსებს უცხო ენაში; შესაბამისი შერჩევის შემდეგ 2-3 მსაჯი სტაჟირებას და პრაქტიკას გაივლის უცხოურ კლუბებში.
კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაეგზავნოს რეკომენდაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რათა არსებული პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს ფედერაციას.

ჩერქეზული კულტურის ცენტრი

მერაბ ჩუხუას (ცენტრის დირექტორი) ინფორმაციით, ჩერქეზული კულტურის ცენტრი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებულებით და 2012 წლის 16 თებერვალს მოხდა მისი ოფიციალური გახსნა. ამ დროიდან დღემდე ცენტრის მიერ განხორციელდა არაერთი პროექტი და ჩატარდა მრავალი ღონისძიება. მათ შორის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ჩერქეზული კულტურის ცენტრის ერთობლივი პროექტი „კავკასიური კვირეული"; „ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელწიფო სტრატეგიის" პროექტი; „ქართულ აფხაზური საზაფხულო სკოლა" და სხვა.
მომხსენებელმა წარმოადგინა ინიციატივა, რათა მოეწყოს სპორტული ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აფხაზი სპორტსმენები. კომიტეტის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი ინიციატივა და მზადყოფნა გამოთქვეს აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად.

სსიპ. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

თემურ ლორთქიფანიძის (კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) ინფორმაციით, საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი დაარსდა 1933 წელს, იგი პირველი სპორტული სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში. სხვადასხვა დროს იგი იწოდებოდა, როგორც საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი (1933წ-1956წ), მწვრთნელთა სკოლა (1956წ-1977წ), ფიზიური კულტურის ტექნიკუმი (1977წ-2000წ), საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი (2000წ-2007წ). 2007

წლიდან კოლეჯი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო 2009 წელს კოლეჯმა შეწყვიტა ფუნქციონირება.
კოლეჯს მფლობელობაში ჰქონდა საკუთარი ისტორიული შენობა სპორტული ნაგებობებით 3200კვ.მ. შენობა და 16 000კვ.მ. მიწის ფართობი, რომელიც 2002 წლიდან უზუფრუქტით გადაეცა სასწავლო დაწესებულებას. 2003 წელს კოლეჯის შენობა დაიწვა. გამოძიებით დადასტურებულია, რომ ეს იყო წინასწარ განზრახული ქმედება, რათა დაინტერესებულ პირებს შენობა შეესყიდათ სასურველ ფასად. კოლეჯის კოლექტივმა საკუთარი ძალისხმევით, პირადი სახსრებით მოახერხა შენობის შეძლებისდაგვარად შეკეთება, მაგრამ 2005 წლის 17 მარტს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით N041873 გაუქმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება და კოლეჯის მფლობელობაში დარჩა კონსტიტუციის ქ N6 და ჩუბინიშვილის ქ N52 - ში კომპლექსის ნაწილი (შენობის 1881კვ.მ. ფართი და 1500 კვ.მ. მიწის ფართობი), 2007 წელს გაიყიდა კომპლექსი და მასთან ერთად კოლეჯის კუთვნილი ფართიც. კოლეჯს გააჩნია არქივიდან ამოღებული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დასტურდება, რომ კომპლექსის ნაწილი დაარსების დღიდან ეკუთვნოდა კოლეჯს.
ამჟამად მთელი კომპლექსი ირიცხება ქ. თბილისის მერიის ბალანსზე, რადგანაც მყიდველმა აღნიშნული ტერიტორია, სადაც აღიზარდა მრავალი სახელოვანი სპორტსმენი: ფეხბურთელები, ხელბურთელები, მძლეოსნები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, სადაც ტარდებოდა საერთაშორისო საკავშირო შეჯიბრებები და იყო იმ პერიოდისთვის ერთადერთი სპორტის კერა, აქცია საკოლმეურნეო ბაზრად, თუმცა ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო (მყიდველს უნდა აეშენებინა ორი სპორტული კომპლექსი ქალაქის სხვა ტერიტორიაზე არსებულის სანაცვლოდ). ქ. თბილისის მერიამ ჩამოართვა აღნიშნული კომპლექსი, რომელიც დღემდე უფუნქციოა.
2009 წლიდან კოლეჯის სტატუსი შეჩერებულია. 2007 წლიდან გაუქმებული იყო საქართველოს სპორტის აკადემიაც, რომელიც წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აღდგა. სპორტის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მწვავე დეფიციტს მხოლოდ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი ვერ გაუმკლავდება, ამიტომ საჭიროა სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც გაიხსნას შესაბამისი სპეციალობის ფაკულტეტები და ასევე აღდგეს პროფესიული სწავლება კოლეჯში.
ამჟამად კოლეჯი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კოლეჯის დაფუძნების შესახებ ბრძანების მიღების მოლოდინშია, რაც 2014 წლის მაისის თვეში უნდა მოხდეს.
კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: გაეგზავნოს რეკომენდაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რათა დროულად მოხდეს სსიპ. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის აღდგენა.
საკითხი გადაწყდა დადებითად.

3.4. ქვეყანაში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში არსებული მდგომარეობა

<u>ნეგატიური ფონი</u>

1. არადამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
2. სპორტში დასაქმებული არასპეციალისტების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;
3. სპორტში კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
4. არასწორი წვრთნის სავალალო შედეგები ბავშვებსა და მოზარდებში;
5. სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი ახალგაზრდების რაოდენობის ყურადსაღები პროცენტული მაჩვენებელი;
6. სპორტული ობიექტები, რომლებიც არ არიან დაკავებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობით, თანაბარ პირობებში არიან და იბეგრებიან ისე, როგორც სამეწარმეო ორგანიზაციები;
7. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა;
8. სასპორტო-სამედიცინო დისპანსერის არქონა;
9. სასპორტო ობიექტების პრივატიზაციის პირობების დარღვევა (რეაბილიტაციის ნაცვლად ობიექტის ფუნქციის შეცვლა);
10. განათლების სისტემაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეთოდური ცენტრის, სპეციალიზირებული საჯარო (ზოგადსაგანმანათლებლო) სკოლების (მ. კეკელიძის სახელობის #58-ე, სპორტული პროფილის მე-100, მ. მესხის სახელობის #25-ე, საფეხბურთო #35-ე და გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი) გაუქმება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, როგორც მოზარდი თაობის აღზრდას, ისე კალათბურთისა და ფეხბურთის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ამასთან იუნესკოს ასოცირებული რაინდთა საავტორო სკოლის გაუქმება, რითაც ერთ-ერთი მძლავრი საგანმანათლებლო დაწესებულება მოაკლდა ქვეყანას.
11. პანსიონურ რეჟიმზე მომუშავე სასპორტო პროფილის სასწავლო დაწესებულებების გაუქმება ან სასპორტო ჯგუფების ფუნქციონირების შეწყვეტა;
12. არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების, სპორტული ფედერაციების არასაკმარისი დაფინანსება;
13. განათლების სისტემაში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების გაუქმება (ცალკეული გამონაკლისის გარდა);
14. სპორტში (მათ შორის სასპორტო განათლებაში) ახალგაზრდა სპეციალისტთა ნაკლებობა და ხანდაზმულთა სიჭარბე;
15. ნარკომანია, ტოქსიკომანია ბავშვებსა და მოზარდებში;

16. არაოლიმპიური სახეობებისადმი ლოიალური დამოკიდებულება;
17. სავალალო მდგომარეობა სტუდენტურ სპორტში, რომელიც ჩვენი მომავალია;

<u>პოზიტიური ფონი</u>

1. სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში კანონმდებლობის დახვეწაზე მუშაობა;
2. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიღება;
3. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი მიღება;
4. საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში სპორტში კარგი მმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სპორტულ შეჯიბრებებზე ძალადობისა და დისკრიმინაციის შესახებ სათანადო პოლიტიკის შემუშავება;
5. სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული სპორტული ობიექტების დეტალური შესწავლა და ერთიანი ბაზის შექმნაზე მუშაობა, სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
6. ევროპული კონვენციით გათვალისწინებული დოპინგსაწინააღმდეგო დებულებების შესრულება და სპორტში დოპინგის გამოყენების აღმოფხვრა;
7. სახელმწიფოს კეთილი ნება - ხელი შეუწყოს სასპორტო განათლებას;
8. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირების დაწყება;
9. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის აღდგენა და ფუნქციონირების დაწყება;
10. ქართული სპორტი - აკმაყოფილებს საერთაშორისო მსოფლიო სტანდარტებს (ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მიღწევები საერთაშორისო სარბიელზე და ჩვენი სპეციალისტების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ);
11. საკმარისი მიზნობრივი დაფინანსება მარტივი ტიპის სასპორტო ნაგებობების მშენებლობისა და ძველი სასპორტო კომპლექსების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად;
12. სპორტის პოპულარობა საქართველოში;
13. ქართული სპორტი და ახალგაზრდობა - მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამომხატველია და წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს.

3.5. *საზოგადოებასთან ურთიერთობა*

<u>კომიტეტში შემოსული წერილები</u>

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში მოქალაქეებისა და სხვადასხვა უწყებიდან შემოვიდა 200-მდე განცხადება და წერილი, ყველა ეს განცხადება და წერილი კომიტეტისა და მისი აპარატის მიერ აყვანილია კონტროლზე, შესწავლილია, განხილულია და რეაგირების მიზნით გადაცემულია შესაბამისი უწყებებისთვის.

<u>მოქალაქეთა მიღება</u>

კომიტეტში, თითქმის ყოველი კვირის მინიმუმ ერთი დღე ეთმობა მოქალაქეთა მიღებას. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხთა აქტუალურობის შემთხვევაში, მისი გამორკვევის მიზნით, ხდება განმცხადებელთა არაგეგმიური მიღებაც.

<u>მნიშვნელოვანი შეხვედრები</u>

საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით არასასესიო კვირის პერიოდებში, საარჩევნოდ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, მოსახლეობასთან დიალოგის ფარგლებში ინტენსიურად იმართებოდა კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის წევრების შეხვედრები ამომრჩევლებთან, სპორტულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რაიონებისა და ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობასა და მოსახლეობასთან. შეხვედრების ფორმატიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, კომიტეტის ინიციატივით მოწვეულნი იყვნენ და მონაწილეობდნენ ასევე პარლამენტის სხვა კომიტეტის წევრები, სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელები, მინისტრები, სამინისტროს პასუხისმგებელი პირები და ა.შ.